ცნობის ფურცელი

№ 2515 | შაბათი, 5 ივნისი | 1896—1904 | ყოველ-დღიური გამოცემა | № 2515

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატება—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ...ის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

პანსიონი

(ნემეცის ქუჩა, სლივიცკის სახლებში, რეალურ სასწავლებლის პირდაპირ)

ალექსანდრე გიორგის ძე

მირზაშვილისა

9 ივნისიდან გადადის საავარაკოთ სოფ. შინდისში (გორ. მაზ.). მიიღებიან ვაჟები საშუალო სასწავლებლებში მესამე კლასამდე მოსამზადებლად და აგრეთვე საზემლემერო სასწავლებელში. (150—218—6)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ა. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 11—12 საათამდე.

მ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათ.

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9—10 ს.

არ. მ. ხოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. 1—3 საათამდე.

პ. ა. ბეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ. ყოველდღე.

ექ. ქალი მ. ქ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

ნ.ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოთი:

გ. მ. ხოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიკურ-მიკროსკოპიული და ბაქტერიოსკოპიული გამოკვლევანი.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) ტელეფონი № 274.

ქუთაისში

ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგანი და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე საღამოთი 5—7 საათამდე ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიპარმაკლიძისა. (20—14)

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ვლიხაბედის ქუჩა, № 38).

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოთი 5—7-მდე. ხოლო კვირა-უქმეებით 9—1-მდე. და საღამოობით 5—7-მდე.

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.

...ის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 12—... საათ. სღ. 6—7 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. ...ის ქუჩა, № 24 სახლი ვარნაძისა.

ქუთაისში

კბილის ექიმი ნ. ა. დემიდოვი

(აბორინის შესახვევი, საკუთარი სახლი)

მიიღებს ყოველ დღე. პლომბის გაკეთება და კბილების ჩასმა. (30—140—15)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

3 ივნისი

მუკდენი. (სააგენტოს საკუთ. კორესპ.). იაპონელთა იმ ჯარის შესამცირებლად, რომელმაც პორტ-არტურს ალყა შემოარტყა, დაშიციაოდან გაგზავნილ იქმნა სამხრეთისაკენ რუსის ჯარის ერთი რაზმი. ვაფანგოუსთან ამ რაზმს ბრძოლა მოუხდა იაპონელებთან 1-ლსა და 2 ივნისს. იაპონელებმა ბევრი იზარალეს, ჩვენი მდგომარეობა-კი გაუმჯობესდა.

ტოკიო. („რეიტ. სააგენტო“). ვაფანგოუსთან ბრძოლაში, 1-ლ ივნისს, იაპონელებმა 1000 კაცი დაჰკარგეს და ბევრი ზარბაზანიც; შემდეგ უწესოდ უკუიქცნენ. 2 ივნისის დილის გაზეთები იტყობინებიან, რომ ბრძოლა კიდევ არ გათავებულაო. რუსები 2 ივნისამდე მარჯვედ მოქმედებდნენ. ცხენოსანთა ერთი ესკადრონი გასწყვიტეს. თვით რუსებმა-კი 309 კაცი დაჰკარგეს. —იაპონიის კრეისერი „ინტაკა“ ძალიან დაზიანდა ვლადივოსტოკის ესკადრასთან ბრძოლის დროს. დილის გაზეთები ამბობენ, რომ რუსთა ვლადივოსტოკის ესკადრა აღმოსავლეთისაკენ წავიდაო. ადმირალი ტოგო იტყობინება, რომ იაპონიის ნაღმიან გემების ფლოტილია 31 მაისს ღამე პორტ-არტურთან მივიდა და რამდენიმე ნაღმი ჩააწყო; ფლოტილია ამის შემდეგ უკანვე დაბრუნდა სრულიად უვნებლად. 29 მაისს, როდესაც იაპონიის ნაღმიან გემებისა და ნაღმიან გემების გამანადგურებელთა ორი ფლოტილია ყუმბარებს ესროდა სიაოპინდაოს ნაპირზე მყოფ რუსის ჯარს, პორტ-არტურიდან უეცრად გამოვიდა კრეისერი „ნოვიკ“ ნაღმიან გემების ათის გამანადგურებლით. ორივე მხრიდან ასტყდა ზარბაზნების ძლიერი სროლა. იაპონიის გემები უკან-უკან იწეოდნენ, უნდოდათ რუსის ესკადრა გაშლილ ზღვაში გაეტყუებინათ, მაგრამ უკანასკნელი პორტ-არტურში დაბრუნდა ნაშუადღევის მესამე საათზე. იაპონელთა გემებს არავითარი ზარალი არ მოსვლიათ. იმავე დღეს კრეისერ „ჩიტოზე“-დან ესმოდათ ზარბაზნების ხმა პორტ-არტურის მხრიდან.

ლონდონი. კუროკის ჯარის მთავარსადგომიდან კორესპონდენტი დეპეშით იტყობინება, რომ სამხრეთისაკენ გაგზავნილ რუსის ჯარს ლიაოიანიდან მიმშველ რაზმებს უგზავნიანო. ორივე მოპირდაპირე არმიები ერთმანეთს უახლოვდებიან; მოელიან სასტიკ ბრძოლას. იაპონიის პირველ არმიას 30 მაისიდან ბრძოლა აღარ ჰქონია. რუსებმა პატარ-პატარა რაზმებით ისევ დაიჭირეს: ტუნიუანპუ—ლიანშანგუანის გზაზე, სუმინძი ლიაოიანის გზაზე და სანშანძი—ხაიჩენის გზაზე.

ჩიფუ. („რეიტ. სააგ.“). აქ მოსული რუსი ვაჭარი ამბობს, პორტ-არტურში დიდძალი სურსათ-სანოვაგე აქვთ; სხვათა შორის 9,000 საკლავი საქონელი ჰყავთო. იმ სავაჭრო სახლმა, რომელსაც ეს ვაჭარი ეკუთვნის, რუსეთის მთავრობას 9000 გირვანქა დამარილებული ხორცი ჩააბარა. ვაჭარი ირწმუნება, პორტ-არტურში 50.000 ჯარის კაცი არისო.

ლიაოიანი. 31 მაისს, დილა ადრიან, იაპონელებმა დაიწყეს წინ სვლა პულანდიაზიდან ვაფანდიანისკენ და იერიში მიიტანეს გენერალ შტაკელბერგზე. შუადღისას გაისმა სროლის პირველი ხმა. ორ საათისთვის გამოირკვა, მტრის ჯარი როგორ იყო დარაზმული: იგი თორმეტ ვერსზე გაჭიმულიყო ვანდეგოუს სამხრეთით სიმაღლეებიდან მდინარე ტასახომდე. იაპონის რაზმში იქნებოდა ორი დივიზია ქვეითა ჯარისა, საველო და სამთო არტილერიითა და ცხენოსანთა 12 ესკადრონი. საღამოს ხუთ საათზე იაპონელებმა წინ სვლა შეაჩერეს. 7 საათზე ჩვენმა ჯარმა ნელა ჩრდილოეთისკენ დაიწია. ჩვენმა უკანა ჯარმა ღამე ვაფანლაანთან გაათია. ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა. 1 ივნისს, დილით, იაპონელებმა განაახლეს წინსვლა. იაპონელები სამ რაზმად მიდიოდნენ: პირველი ტასახოს ხეობით, შუა რაზმი—რკინის გზის გაყოლებაზე და მარცხენა რაზმი—ხეობით ვაფანგოუდან. რადგან იაპონელთა ჯარი ძლიერი იყო, ჩვენი რაზმი გადავიდა უკანა პოზიციებზე, ვაფანგოუს სამხრეთით 6 მილის მანძილზე. ნაშუადღევის 2 საათზე იაპონიის ზარბაზნებმა ყუმბარები დაუშინეს ჩვენ ჯარის შუაგულს და მარცხენა ფრთეს. ამავე ფრთეზე იაპონიის ქვეითა ჯარმა რამდენჯერმე მხნედ მიიტანა იერიში, მაგრამ ზარალით უკუგდებულ იქმნა. ცხარე ბრძოლა სიბნელის გამო შესწყდა. ჩვენ ღამე ჩვენსავე პოზიციებზე გავათიეთ, ხოლო 2 ივნისს, დილით, მტერზე იერიში მოვიტანეთ. ბრძოლა განახლდა და მთელი დღე აღარ შეწყვეტილა. გამოირკვა, რომ იაპონელებს ღამე მთელი დივიზია მიშველებოდათ, რის წყალობითაც იაპონელებმა შესძლეს ჩვენის ჯარის მარჯვენა ფრთეს მოვლა. ბრძოლა იმით გათავდა, რომ ჩვენმა ჯარმა ვაფანგოუსკენ დაიწია.

მოსკოვი. ქალაქი შორეულ აღმოსავლეთში საავადმყოფოებისათვის ჰგზავნის რამდენსამე რენტგენის კაბინეტს.

ორიოლი. დღეს, დილის 8 საათზე, საგანგებო მატარებლით მოვიდა მოსკოვის სამხედრო ოლქის ჯართა უფროსი დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე მეუღლითურთ. სადგურზე დაჰხვდა გუბერნატორი. 10 საათზე მათი უმაღლესობანი წავიდნენ ელეცის ბაქანზე, ხოლო იქიდან ცხენებით მინდორში, სადაც გამოემშვიდობნენ შორეულ აღმოსავლეთში მიმავალ ჩერნიგოვის დრაგუნთა მე-51 პოლკს, რომლის შეფადაც დიდის მთავრის მეუღლეა. მისმა უმაღლესობამ უსურვა პოლკს გამარჯვება და გადასცა ხატი.

ორიოლი. 3 ივნისს, დილის 10 საათზე, პარაკლისის შემდეგ, მათის უმაღლესობის თანადასწრებით, აკურთხეს უავგუსტოესის შეფის მიერ შეწირული სამგზავრო ეკკლესია.

ტოკიო. („რეიტ. სააგ.“). ტელისთან, ფუჯოუს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით, რუსებს მოუკლეს 500 კაცი და ტყვედ წაიყვანეს იაპონელებმა 300 კაცი. იაპონელთა დანაკლისი—1000 კაცი.—ტრანსპორტი „ხიპომარუ“ მაიუში დაბრუნდა. როგორც ამ ტრანსპორტიდან იუწყებიან, გუშინ, დილის 11 საათზე, „ხიპომარუ“ შეჰხვედრია ვლადივოსტოკის ესკადრას. „ხიპომარუ“ მოტრიალებულა და გაქცეულა, ამასთან ნიშანი მიუცია ტრანსპორტების „კანაცარვამარუ“-სა და „ტურიმარუ“-სთვის. სამ გემს მოუხერხებია გაქცევა. რუსებს შეუნიშნავთ ტრანსპორტები „ხიტაშიმარუ“ და „სადომარუ“. თითო გემი 6000 ტონისაა. რუსის გემები შემოერტყნენ. ამ ტრანსპორტების ბედი არ იციან. ჰფიქრობენ, ბევრი ხალხი დაიკარგა.—„სადომარუ“-სა და „ხიტაშიმარუ“-დან გადარჩენილნი ამბობენ, რომ ეს გემები უაიტხედის ნაღმებით ჩასძირესო.

ტოკიო. („რეიტ. სააგ.“). ეჭვს გარეშეა, რომ „ხიტაშიმარუ“ და „სადომარუ“ დაიღუპნენ. 397 კაცი, „სადომარუ“-დან გადარჩენილი, კოკურაში მოვიდა. დაწვრილებით ცნობები არ არის. თუმცა ხმა გავრცელდა, რომ იაპონიის ესკადრა დაეწია ვლადივოსტოკისას და ბრძოლა გაიმართაო, მაგრამ საეჭვოა, რომ ბრძოლა მომხდარიყოს. ამინდი ხელს უწყობდა რუსებს: ქარიშხალი და წვიმა ჰმალავდა იმათ მოძრაობას. რუსეთის ესკადრა გაემართა აღმოსავლეთისაკენ. იაპონელები სდევნიან ამ ესკადრას და მოულოდნელად მოელიან ბრძოლას.

ჩიფუ. („რეიტ. სააგ.“). მოვიდა ჩინელი, რომელიც პორტ-არტურის გემთ საკეთებელში მსახურებდა ამბობს, რუსების გემები შეკეთებულიაო.

ნიუ-ჩუანი („რეიტ. სააგ.“). წუხანდელ, ღამის 10 საათიდან სამხრეთის მხრიდან ზარბაზნების ხმა ისმის. შუაღამეს ორმა ბატარეამ გაიარა ქალაქში. ხმებია, კუროკის მეორე დივიზია 2 ივნისს საღამოს გაიჩატუსკენ გაემართა, რათა რუსებს უკანიდან თავს დაესხას.

პეტერბურგი. მანჯურიის არმიის მთავარსარდლის დეპეშა მის უდიდებულესობას, 3 ივნისს, 1904 წ.: „2 ივნისს, ნაშუაღამევის 1 საათ. და 20 წუთ., გენერალმა შტაკელბერგმა დეპეშით მაცნობა შემდეგი: „2 ივნისს განვიზრახე მიმეტანა იერიში მტრის მარჯვენა ფრთეზე, მაგრამ იმ დროს, როცა ამ განზრახვის ასასრულებლად დანიშნულმა ჯარმა მარჯვედ შეავიწროვა მტრის მარჯვენა ფრთე, იაპონელებმა თავის მხრივ იერიში მიიტანეს ჩემ მარჯვენა ფრთეზე უფრო დიდის ჯარით, ვიდრე მე მყავდა. იძულებული გავხდი წინ წამომეყენებია მერვე რეზერვი, მაგრამ იგი საკმაო არ დარჩა და იძულებული შევიქენი დავწეულიყავი სამის გზით ჩრდილოეთისკენ. ბრძოლის დროს პირველ საარტილერიო ბრიგადის მე-3 და მე-4 ბატარეას იაპონელებმა ნამდვილ სეტყვასავით მიაყარეს ყუმბარები; 16 ზარბაზნიდან 13 მთლად გაგვიფუჭეს და დაგვატოვებინეს. ჯარი ჩინებულად მოქმედებდა; ბევრმა რაზმმა მხოლოდ მაშინ დაიწია, როცა რამდენჯერმე განუმეორეს ბრძანება“.

(დამის დეპეშები იხილე მე-3 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. „დეილი ექსპრეს“-ს დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდან: აქა ჰფიქრობენ, რომ იაპონელები აქამდე იერიშს მიიტანდნენ პორტ-არტურზეო.

„დეილი ექსპრეს“-ი ირწმუნება: რუსის სამხედრო წრეები ჰფიქრობენ, პორტ-არტურთან უმთავრესად არტილერიის ბრძოლა მოხდებაო, იქნება ამისთანა საშინელი ბრძოლა ჯერ არ მომხდარიყოსო. რუსეთმა დღემდე 240 მილიონი მანეთი დახარჯა ომზე, პორტ-არტურიც თავის ესკადრით, ბატარეებით, იარაღით, სიმაგრეებითა და მოწყობებით, სულ მცირედ, 240 მილიონი მან. ღირსო. (რ.ლ.)

ცნობილ რუსის სამხედრო მწერალს გენერალ ფარინსოვს უთქვამს ერთის რუსულ გაზეთის თანამშრომლისათვის: პორტ-არტური სულ მცირედ ხუთ თვეს გაუმაგრდება მტერს; იქ ქვა-ნახშირიც ბევრი აქვთ რუსებს და საკვები სურსათიც. ესაა ჩემი აზრი და მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ ეს აზრი უსათუოდ გამართლდებაო. („რ.ლ.“).

რუსის ადმირალ ვირენიუსს, სხვათა შორის, უთქვამს „მატენ“-ის კორესპონდენტისათვის: თუ იაპონელებმა პორტ-არტურის აღება მოახერხეს, რუსის ფლოტი, ალბად, ნავთსადგურიდან გავა და გაქანებული ვლადივოსტოკისაკენ გაემართება. რუსის ფლოტი უსათუოდ ეცდება, რომ, რაც შეიძლება, მეტი ზარალი მისცეს იაპონიის ფლოტსაო. („პ. გ.“).

ფრანგული გაზ. „ტან“-ი სწერს: მეტად არეული ცნობები მოდის სამხედრო მოქმედების ასპარეზიდან, მაგრამ ყველაფრიდან სჩანს, რომ რუსის მთავარ-სარდალს საკმაოდ მრავალი ჯარი არა ჰყავს, იაპონელებზე იერიშის მიტანა ჯერ არ შეუძლიან და ჯერ ლიაოიანში გენ. კუროკის დაცემას ელის. გენ. კუროკი ფრთხილადა და ბეჯითად ემზადება ამ დაცემისათვის და, ეტყობა, მალე დაეცემა კიდევაც. იაპონელებმა პორტ-არტურსაც ალყა შემოარტყეს. რუსები ძლიერ ცდილობენ პორტ-არტურის გასავლის გაწმენდასა და ჩაძირულ ბრანდერების ამოღებას, მაგრამ ეს გასავალი მაინც საშიში უნდა იყოს, მით უმეტეს, რომ გარე რეიდზე მრავალი მცურავი ნაღმია გაფანტული. იაპონიის ფლოტი ბოლოს დროს თითქო შესუსტდა, მაგრამ რუსის ფლოტს მაინც თამამად შეებრძოლებაო. დასასრულ გაზეთი ამბობს: მხოლოდ დიდი ბრძოლა გამოაჩენს რუსის მთავარ-სარდლის ნამდვილ პლანსა და განზრახვასაო. („პ. ვ.“).

უცხოეთის გაზეთები იუწყებიან: იაპონელებმა წინადადება მისცეს უცხო სახელმწიფოების საზღვაო აგენტებს პორტ-არტურში, ნებას გაძლევთ პორტ-არტურიდან გამოხვიდეთ, ჩვენს პოზიციებზე გაგატარებთ და მოწმობას მოგცემთ, რომ არავინ არა დაგიშავოთ-რაო. ამერიკისა და საფრანგეთის აგენტებს გარდა, ყველანი დასთანხმდნენ ამ წინადადებას და პორტ-არტურიდან წავიდნენ. („რ. ლ.“).

ის ხმა, ვითომ ბალტიის ესკადრის ჯავშნიანი გემი „ორიოლ“-ი შორეულ აღმოსავ-

ლეთში აღარ იგზავნებოდეს და ბალტიის ზღვაში რჩებოდეს,—ტყუილია. „ორიოლ“-ი ამ ჟამად ალექსანდრეს დოკიდან გამოიყვანეს და კრონშტადტის რეიდზე სხვა სამხედრო გემებთან დააყენეს. („რ. ლ.“).

ტოკიოდან ცნობა მიიღეს პარიზში, იაპონელები დიდ მნიშვნელობას აძლევენ საიმაძისა და სიუანის დაჭერასაო. იაპონელების აზრით, საიმაძის აღების შემდეგ, გენ. კუროკის ჯარი მოტენლინგის მთას გვერდს აუქცევს, რადგან ეს მთა ძლიერ აქვთ გამაგრებული რუსებსაო. („რ. ს.“).

„ბერლინერ ტაგებლატ“-ი იუწყება: გენ. კუროკის ჯარი ოთხ რაზმად მიდის წინაო. („რ. ლ.“).

„ნოვოე ვრემია“-ს კორესპონდენტი სწერს: იაპონელები მეტად ბევრ რუსის აფიცერსა ჰკლავენ. ამბობენ, საუკეთესო იაპონელ მსროლელებს ნაბძანები აქვთ, ბრძოლის დროს აფიცრებს მიაქციეთ ყურადღება და მარტო იმათ ესროლეთ თოფიო. იაპონელი ჯარის-კაცები ერთგულად ასრულებენ ამ ბძანებას, მით უფრო, რომ რუსის აფიცრის ტანისამოსი ძლიერ განსხვავდება სალდათის ტანისამოსისაგან. ამიტომ კარგი იქნება, რუსის აფიცრის ფორმა შეიცვალოს; კარგი იქნება აგრეთვე, რუსის ჯარს თეთრის ქუდებისა და პერანგის ნაცვლად, რუხი („სერი“) ფერის ქუდები და პერანგები დაუმზადონ. („ნ. ვ.“).

მანჯურიის ჯარის მთავარ-სარდალმა უბრძანა თავის ჯარს, ჩვენ მამაც მოწინააღმდეგე იაპონელებს პატივისცემით მოექეცითო; თუ ვინიცობაა, მოკლული, ან დაჭრილი იაპონელები ხელში ჩაიგდოთ, ან ტყვედ დაიჭიროთ, მოკლულები სამხედრო პატივით დაასაფლავეთ, დაჭრილებს ისევე კარგად მოუარეთ, როგორც დაჭრილ რუს მეომრებს და ტყვეებსაც კარგად მოექეცითო. („რ. ვ.“).

„რუსკოე სლოვო“-ს კორესპონდენტი ბ-ნი ნემიროვიჩი-დანჩენკო იუწყება: იაპონელების პოზიციაზე ვაფანგოუსთან რუსებმა დაინახეს, რომ ერთ გორაკზე მათრახი იყო დარჭმული და ზედ ეწერა: „აქ ორი რუსია დამარხულიო“.

ხაიჩენის სამხრეთით მცხოვრებმა ჩინელებმა საქონელი მთაში გარეკეს, რომ რუსის ჯარს აღარ მიჰყიდონ. ქერსა და ბზესაც მიწაში ჰმალავენ. ხმა დადის, ჩინელები პეკინიდან საიდუმლოდ მიღებულ ბრძანების თანახმად იქცევიანო. („რ. ს.“).

საუბარი ინგლისელ სამხედრო მწერალთან. „დეილი ნიუს“-ის წარმომადგენელს ცნობილ ინგლისელ სამხედრო მწერალ მილიერ მაგიურთან პორტ-არტურზე უსაუბრნია. მაგიურს უთქვამს: თუ რუსის მთავარსარდალი ხალხის სურვილს აჰყვება და პორტ-არტურის დასახსნელად ჯარს გაჰგზავნის,—ეს დიდი შეცდომა იქნება. ურჩევნია პორტ-არტურს თავი დაანებოს და უკან დაიხიოს. ხალხი მეტად აზვიადებს ციხეების მნიშვნელობას. როგორც ფლოტი უფრო გაშლილ ზღვაშია უშიშრად, ისე ჯარს გაშლილ ველზე მეტი ძალა აქვს, ვიდრე ციხეში. ციხეებში ბევრი კარგი ჯარი დაღუპულა:—ბევრმა სახელოვანმა ჯარმა მოიპოვა ციხეებში სამარე. თუ რუსები ეხლა პორტ-არტურის საშველად წავლენ, იმავე შეცდომას ჩაიდენენ, რა შეცდომაც 1870 წელს გენერალმა პალიკაომ ჩაიდინა, როცა მარშალი მაკ-მაჰონი მეცის დასახსნელად გაგზავნა. მაკმაგონმა შეასრულა ეს ბრძანება და ვერც მეცი გაანთავისუფლა და თავისი მთელი ჯარი-კი დაღუპა: 23 აგვისტოს მაკმაგონი 144 ათასის ჯარის კაცით და 400 ზარბაზნით მეცისაკენ წავიდა და ცხრა დღის შემდეგ, 2 სექტემბერს, მთელის თავის ჯარით გერმანელებს ტყვედ ჩაუვარდა ხელში.

—მაშ, თქვენის აზრით, გენ. კუროპატკინმა უკან უნდა დაიხიოს?

—უეჭველად. იაპონელები ვიწრო ყელზე, ცინჩოუსთან არიან გამაგრებულნი; ამისთანა ძლიერ მტრის წინააღმდეგ გალაშქრება—ნამდვილი სიგიჟე იქნება; ხან-და-ხან მთავარსარდალმა ციხე თავის მეცხოვნე ჯარის ანაბარას უნდა მიატოვოს. თუ გენ. კუროპატკინი ეხლა, სანამ დიდი ჯარი არ ეყოლება, იაპონელებზე დაცემას გაჰბედავს—დიდ განსაცდელში ჩააგდებს რუსის არმიას. არმიის დაკარგვა ერთი ათად ძნელი იქნება პორტ-არტურის დაკარგვაზე. მაშინ რუსეთს უფრო ძლიერ გაუჭირდება თავის საქმის გასწორება და გამოხსნება. („ნ. ვ.“).

ბრძოლა ტიურენჩენთან, 18 აპრილს. რუსულ გაზეთებში საინტერესო წერილები იბეჭდება ამ ბრძოლაზე. „რუსკია ვედომოსტი“-ს კორესპონდენტი სწერს: „იაპონელებმა ტიურენჩენთან საალყე დიდ ზარბაზნების შემწეობით-კი არა, უმთავრესად თავიანთ ქვეითა ჯარის წყალობით გაიმარჯვესო. იაპონიის ქვეითა ჯარის ტაქტიკა მეტად საყურადღებოა. საბრძოლველად სუმბუქად, უბარგოდ მიდის; ამიტომ რუსის ხიშტსაც ადვილად ირიდებს და რუსის ტყვიასა და ყუმბარასაც. ერთმა როტის უფროსმა მიამბო: ორჯერ ზედი-ზედ რომ თოფები დავვახალა სადმე, იაპონელები მაშინვე ადგილს ინაცვლებდნენ და თხებივით კლდეებზე აცვივდებოდნენ ხოლმე. წადი და სდიე. თითონ იაპონელები-კი რამწამს დაიძვრიან, მაშინვე საშინელ სროლას ასტეხენ ხოლმე... რუსის მარცხენა ფრთაზე მე 22 პოლკი იდგა; ამ პოლკმა მალე უკან დაიხია. იაპონელებმაც ხანი აღარ დაახანეს, მე-11 პოლკს მარცხენა მხრიდან მოუარეს და ორის მხრიდან თოფი დაუშინეს... ერთი რუსის ბატარეა მე-22 და მე-11 პოლკის საშველად გაქანდა, მაგრამ მაშინვე იაპონელებს ჩაუვარდა ხელში: ბატარეამ მარტო ერთხელ მოასწრო ზარბაზნების დაცლა... ერთი რუსის არტილერისტი კაპიტანი თავის ამხანაგ აფიცრებს უმტკიცებდა: იაპონიის ქვეითა ჯარი საუკეთესო ტაქტიკას მისდევსო. იაპონელი ჯარის კაცები ბრძოლის დროს მეტად მოხერხებულად იქცევიან და დიდ თაოსნობას იჩენენო... ლიაოიანის გზაზე მე-7 ბრიგადის მე-2 და მე-3 ბატარეა შემხვდა: ტიურენჩენის ბრძოლის შემდეგ ლიაოიანში ბრუნდებოდნენ. ორსავ ბატარეას მარტო ერთი ზარბაზანი-და შერჩენოდათ, ხუთი ყუთი ყუმბარებისათვის და ქარვანი“...

„რუსკი ინვალიდ“-ის კორესპონდენტი სწერს: „მე-3 ბრიგადის მე-3 ბატარეა მე-12 პოლკს მიეშველა. დაიძრა თუ არა, იაპონელი კავალერისტები ცხენებიდან ჩამოხტნენ და მარცხნიდან, თუ მარჯვნიდან თოფი დაუშინეს. იაპონელმა ქვეითა ჯარის-კაცებმაც მთის სერებიდან საშინელი თოფის სროლა ასტეხეს და დიდი ზარალი მისცეს ბატარეას. რუსის არტილერისტებმა ხუთჯერ გასროლა ძლივს მოასწრეს. ბატარეის უფროსი პოდპოლკოვნიკი მორავსკი ხელად მოჰკლეს და 3 აფიცერი რიგრიგისად დასჭრეს; 19 სალდათი მოჰკლეს, 62 დასჭრეს და 52 ცხენი მოჰკლეს. ბატარეას აღარც ხალხი შერჩა, არც ცხენები,—ბატარეის წაღება აღარ შეიძლებოდა. ზარბაზნები წაახდინეს და ვინც გადარჩა, აფიცერი, თუ სალდათი, ზოგი ფეხით, ზოგი ცხენით მთის ბილიკებზე ავიდნენ. აქაც ბევრი მოჰკლეს და დასჭრეს იაპონელებმა“...

ახალი ამბავი

✦ ტფილისის გუბერნატორმა გუშინ, 4 ივნისს, მისწერა ქალაქის მოურავის მოადგილეს, მაცნიევს, როდის მოხდება **არჩევნები ქალაქის მოურავისაო.**

✦ ხვალ, 6 ივნისისთვის, საადგილ-მამულო ბანკის სადგომში დანიშნულია **კრება ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა** შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოებისა. კრებამ უნდა განიხილოს სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებელთა საპენსიო კასის წესდება.

✦ ტფილისის ქალაქის მოურავმა სთხოვა გუბერნატორს, ადმინისტრაციამ დახმარება გაუწიოს ინჟინრებს მეკსა და ვილტერს, რომელთაც უნდა აღგილობრივ გამოარკვიონ **წალკიდან წყლის გამოყვანის საქმე.**

✦ სამხედრო სამინისტროსგან ტფილისის გუბერნატორმა მიწერილობა მიიღო. მიწერილობა შეეხება იმას, თუ როგორის წესით შეუძლიანთ აფიცრებსა და სახელმწიფო მოხელეთ **ამ ომიანობის დროს სამსახურიდან** გამოსვლა. მინისტრი სწერს: ამა წლის 16 თებერვალს უმაღლესად დამტკიცებულ წესდებით, არც ერთ აფიცერსა და სახელმწიფო მოხელეს ნება არა აქვს ომის გათავებამდე სამსახურს თავი დაანებოს იმათ გარდა, ვინც ავად არის და შესაფერ მოწმობას წარმოადგენს, ვინც სამართალშია მიცემული, ვინც სიბერის გამო ველარ იმსახურებს, ვინც აფიცერთა საზოგადოების მიერ არის დათხოვნილი და ვინც სამხედრო სამსახურში ითვლება და ნამდვილად კი სამოქალაქო უწყებაში მსახურობსო.

✦ ლოძელ კაპიტალისტებს ჯევათის მაზრაში განუზრახავთ **ბამბის პლანტაციების** გამართვა. ამ აზრით ჰფიქრობენ 20—30 ათას დესეტინა მიწის იჯარით აღებას. კაპიტალისტთა წარმომადგენელნი ამ საქმისათვის უკვე ჩასულან სალიანს.

✦ გუშინ, 4 ივნისს, ტფილისში ჩამოვიდა სოფელ წინარეხის საზოგადოების მინდობილებით სამი გლეხი ქიშელაშვილები, რომელთაც სოფლის საზოგადოების სახელით მიულოცეს **„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“** დაარსებიდან 25 წლის შესრულება და ქართველ საზოგადოებისათვის ნაყოფიერი მოღვაწეობა. სოფლის წარმომადგენელნი იყვნენ აგრეთვე საზოგადოების დამფუძნებელ წევრებთან: თავ. ი. გ. ჭავჭავაძესა, ი. გოგებაშვილსა, ნ. ზ. ცხვედაძესა და თუმანიშვილთან და მადლობა გადაუხადეს წინარეხში სკოლის დაარსებისა და, საზოგადოდ, ხალხის საკეთილდღეოდ მოღვაწეობისათვის.

✦ ტფილისის გუბერნატორმა **„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“** გაუგზავნა მოწმობები ტფილისში არსებულ სამ (ცენტრალური, ვერისა და ნაძალადევის) სამკითხველო-წიგნთ-საცავის შესახებ. როგორც ამ მოწმობიდანა სჩანს, სამკითხველოები უნდა ექვემდებარებოდნენ 1900 წლის 15 მაისს გამოცემულ წესდებას, რომლის ძალითაც წიგნების და გაზეთების რიცხვი განსაზღვრულია და მთავრობის მიერ გამოცემულ კატალოგების მიხედვით უნდა იქმნას არჩეული საკითხავი წიგნები.

ფელეტონი

ბედნიერი ქვეყანა

აფრიკა უბედნიერესი მხარეა მთელს დედა-მიწაზე,—იქ დროს ფასი არა აქვს.

ლივინგსტონი.

ამას წინად „ცნობის ფურცლის“ დამატებაში ერთი სასაცილო და არც სულ სასაცილო კარიკატურა იყო მოთავსებული. იქ დახატულია ერთი თავ-მოტვლეპილი კაცი, რომელიც სტოლს უზის და საჭმელს სჭამს, თან ხელში კარანდაში უჭირავს, ქაღალდზე ციფრებს სწერს და ანგარიშობს. ანგარიშობს, თუ რამდენი უბის გაქნევა უნდება თითოჯერ ჭამის გათავებას და რამდენ დროს ანდომებს დღეში ჭამას. გამოუთვლია, რომ დღეში 45 წუთს ანდომებს იგი ამ საქმეს. დღიური ციფრი გაუმრავლებია წლის დღეთა რიცხვზე და გამოუყვანია წლიური ჯამიც. „წელიწადში ამისთანა უმნიშვნელო საგანზე 16470 წუთს ვკარგავო“, ამბობს იგი. კარიკატურას ბოლოში აწერია: „ბეჯითი სტატისტიკოსი“.

უეჭველია, ამ სურათით მეკარიკატურეს იმის თქმა უნდოდა, რომ შეიძლება ზოგიერთი თავის თავად კარგი თვისება, როცა იგი გადაჭარბებულია, შეიქნეს სასაცილო და საკარიკატურო. ბეჯითობა და საქმიანობა, რასაკვირველია, კარგი და მოსაწონი ჩვეულებაა, მაგრამ ეს არ მოითხოვს ჭამის უარყოფას და სხეულის საზრდოობის „უმნიშვნელო საგნად“ დასახვას. და „სტატისტიკოსი“, როგორი „ბეჯითიც“ უნდა იყოს იგი, სასაცილოა, როცა „უმნიშვნელო საგნად“ სთვლის ჭამას და ნახევარ დღეში ამ საქმეზე 45 წუთის დაკარგვას. ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს და ასევე—ბეჯითობასაც, რომელიც, რა-კი წესსა და ზომას გადასცილდება, გვაცინებს და გვარიდებს ფეხს.

მაგრამ ყოველ სასაცილო საგანს თავისი სერიოზული და არა სასაცილო მხარეც აქვს. ხსენებულ „სტატისტიკოსის“ ანგარიშსაც ახლავს ასეთი მხარე, რომელიც არა თუ სასაცილოა,—პირიქით, ფრიად სერიოზული და საყურადღებოა. ეს არის დროს დაფასება და დაზოგვა. ის „ბეჯითი“ კაცი ნანობს „დროს დაკარგვას“; ცხადია, იგი აფასებს დროს და, თავისი საკარიკატურო „ანგარიშით“, ჰქადაგობს მის დაზოგვით მოხმარებას. ეს აზრი სადი და სასარგებლო აზრია, რომელსაც, განსაკუთრებით ჩვენში, ეკუთვნის ყურადღების მიქცევა და პრაქტიკულად განხორციელება.

ყველამ იცის, რომ თანამედროვე დაწინაურებულ ერთა კულტურა და წარმატება ადამიანის შრომის გადიდებულს ნაყოფიერებაზეა დაფუძნებული. შრომის ნაყოფიერობის გადიდება იმას ნიშნავს, რომ დღეს, განსაზღვრულ დროს განმავლობაში, ადამიანის შრომას მეტი ნაყოფი მოაქვს, ვიდრე წინად მოჰქონდა. შრომის შედეგი და ნაყოფიერობა დროს ხანგრძლივობით გაიზომება. დრო საზომია ადამიანის შრომის და მოქმედებისა. თუ ხალხსა ან ადამიანში მხოლოდ ის შრომობს უფრო ნაყოფიერად, რომელიც ნაკლებ დროს ჰხარჯავს ერთნაირ შედეგის მისაღწევად. მხოლოდ ის მოასწრებს საერთოდ მეტი საქმის გაკეთებას, რომელსაც შეუგნია დროს მნიშვნელობა და დრო განაწილებული აქვს მიზანთან შეთანხმებულად. დროს დაზოგვა და მისი წესიერად განაწილება მთავარი პრაქტიკული მცნება და მოთხოვნილებაა დაწინაურებულ ხალხთა ცხოვრებაში. დრო და ხანის დაზოგვა ნიშნავს მის სასარგებლოდ მოხმარებას, მაშასადამე, ადამიანისა თუ მთელი ხალხის მეტ სიფხიზლეს და საქმის კეთებას. ინგლისლები ანდაზად ამბობენ, დრო ფულიაო, და ეს თქმულება სავსებით შეეფერება მათს დაუღალავ ცხოვრებას და მდიდარ შინაარსიან ცხოვრებას.

ჩვენში-კი დროს მნიშვნელობის შეგნება და დრო ჟამის ნაყოფიერად მოხმარების საჭიროება ისე ნაკლებ არის შეთვისებული, რომ ყოველი ჩვენში მოსული უცხოელი ჰკვირობს და ჩვენ ამის გამოისობით ზანტებსა და ზარმაცებს გვიწოდებს. საითკენაც კი გაიხედავთ, სადაც კი დააკვირდებით ჩვენს ცხოვრებაში, ყველგან უთვალავ მაგალითებს ჰპოვებთ, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ჩვენ სრულებით არ ვიცით დროს დაფასება და არ გვაგვება, თუ რას ნიშნავს მისი წესიერად განაწილება და მოხმარება.

კარიკატურის „ბეჯითი სტატისტიკოსის“ ცოტა დაკვირვება ჰკლებია და თავის ანგარიშში შეცდომა შეჰპარვია. იგი, როგორც სურათზე ეტყობა, რესტორანში სადილობს,—ჩანს უცოლშვილო და უოჯახო კაცი უნდა იყოს. არ ვიცი, როგორ უნდა იანგარიშოს „სტატისტიკოსმა“, რომ კაცს რესტორანში სადილ-ვახშმის ჭამაზე მარტო 45 წუთი დაეკარგება. ყველას, ვისაც გარემოება ძალას ატანს, სასადილოდ თუ სავახშმოდ ამგვარ დაწესებულებებში იაროს, უეჭველია, ეცოდინება, რომ ეს დრო იმისი მესამედიც არ არის, რაც იქ მოსიარულეს ყოველ შესვლაზე დაეკარგება. რაცა-კი აქაურ რესტორნებსა და სასტუმროებში სადილისა ან ვახშმისთვის შევსულვარ, არ მახსოვს როდისმე საჭმელი ისე მალე მოეტანოთ, რომ $1^1/_2$—2 საათის ცდა არ მომხდომოდეს. გუშინ-წინ მე და ერთი ჩემი ნაცნობი სწორედ 3 საათს ვიცდიდით ტფილისის ერთ რესტორანში, სანამ დაქამ ორი თავი უკემერი საჭმელი მოგვიტანა და იქიდან გამოსვლის შეძლება მოგვცა. რამდენჯერმე ვუსაყვედურე ამის გამო ერთ ქართველ მერესტორანეს, მაგრამ ყოველთვის ერთი და იგივე პასუხი მომცა: უფრო მალე ვერ ვასწრებთ, სხვაგან კიდევ უფრო დიდხანს აცდევინებენო. ვიანგარიშოთ ეს დრო,—ამას არა სტატისტიკოსიც გამოითვლის. თუ ამნაირად შუადღეზე და საღამოს ჭამას სამ-სამი საათი მოუნდით, თვეში ამ საქმეზე 180 საათი მოგინდებათ. თუ სამუშაო დღედ 8 საათს ჩავთვლით, გამოდის, რომ თვეში, ბ-ნ რესტორატორის წყალობით, ჭამას 23 დღე უნდა მოანდომოთ. ეს ამბავი რომ ევროპიელს ვუთხრათ, გაოცდება და, უეჭველად, გიჟებს დაგვიძახებს, ჩვენ-კი შეჩვეული ვართ,—არავის აოცებს და არც აკვირვებს.

ეს ჭამის ამბავი და რესტორანი იმიტომ აღვნიშნეთ, რომ თვით ნახსენებმა კარიკატურამ მოგვაგონა. ვთქვათ, რესტორანების პატრონები ისეთი ხალხი არაა, რომელთაც მოეთხოვებოდეთ შეგნება და სხვისი ინტერესის პატივისცემა. მიბრძანდით სხვა დაწესებულებებში, რომლებიც უფრო კულტურული ხასიათისაა. იქაც ასეთსავე მოვლენას ნახავთ. ფოსტაში, მაგალითად, ერთ საათს უნდა იცადოთ, სანამ რიგი მოგიწევთ და 7 კაპეიკიან მარკის ყიდვას მოასწრებთ. ყოველ დღე აურიცხველი ხალხი აწყდება ამ დაწესებულებას, ხოლო იქ თითო განყოფილებაში თითო მოხელეზე მეტი არა ზის. ეს ამოდენა ხალხი ორორ და სამ-სამ საათობით იცდის, სანამ მოახერხებს მოხელესთან მივიდეს და რაიმე ამანათი მიიღოს ან გაგზავნოს. დღეში სულ უკანასკნელი 100 კაცი მაინც ჰკარგავს აქ ორ საათ დროს სრულიად უნაყოფოდ და უსარგებლოდ. [illegible] საათი შეადგენს ერთი ადამიანის 25 სამუშაო დღეს. ფოსტის გამგეობას ერთის მაგივრად რომ 2 ან 3 მოხელე ჰყავდეს თავის ადგილას დანიშნული, ეს ამოდენა ხალხი ტყვილა უბრალოდ დროს აღარ დაჰკარგავდა და საზოგადოებას, მარტო ამ განკარგულების წყალობით, ყოველ დღე ერთი ადამიანის 22—23 დღის ნამუშევარი დაეზოგებოდა.

მაგრამ ამგვარ დაწესებულებებში [illegible]

✦ შინაგან საქმეთა სამინისტრომ განკარგულება მოახდინა, რომ იმ 16,000 მანეთიდან, რომელიც უმაღლესის ნებართვით გადაიდო 1900 წელს კავკასიის ზოგიერთ **ქალაქებისთვის ცეხმარების აღმოსაჩენად**, ამ ჟამად ქ. ახალქალაქს უნდა მიეცეს 1500 მანეთი, ხოლო სიღნაღს—500 მანეთი.

✦ კავკასიის საერობო თანხიდან ადგილობრივ სასოფლო-მეურნეობის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად გადადებული თანხა **რუსეთ-იაპონიის ომის** გამო უმაღლეს მთავრობის განკარგულებით შემცირებულ იქმნა 279,276 მანეთით.

✦ შინაგან საქმეთა სამინისტროს შეუმუშავებია პროექტი **ახალ სააფთიაქო წესდებისა.** შინაგან საქმეთა სამინისტროს სამკურნალო დეპარტამენტს ამ პროექტის რამდენიმე ცალი გამოუგზავნია ტფილისის საგუბერნიო სამკურნალო განყოფილებისათვის და წინადადება მიუცია, გადასცეს ქალაქის საბჭოს განსახილველად და თავის აზრის გამოსათქმელად.

✦ სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორმა გუშინ სთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას განკარგულება მოახდინოს, რომ ქალაქის **ქუჩების დაწმენდისა და მორწყვის** შესახებ სავალდებულო დადგენილებანი წესიერად სრულდებოდეს.

✦ როგორც პორჩალოს მაზრიდან გვატყობინებენ, 2 ივნისს თავის ბაღში **მოუკლავთ თოფით** შულავრის შეძლებული მემამულე სიმონ პარავიანცი. მკვლელი ვერ უპოვნიათ.

✦ რადგან ამიერ-კავკასიის რკინის გზიდან **ციმბირის გზაზე გადაიყვანეს** ას ორმოცდა ათი კონდუქტორი, ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლის უფროსმა განკარგულება მოახდინა, კონდუქტორები შესასვენებლად ირ დაითხოვონ ხოლმე. მუშაობიდან მხოლოდ ავადმყოფ კონდუქტორებს განათავისუფლებენ.

✦ როგორც „კავკ.“-ს ატყობინებენ, **ტფილისის საკომერციო სასწავლებლის** ინსპექტორი სვატოში დაინიშნა ამავე სასწავლებლის დირექტორად.

✦ სოფ. ანაგაში (სიღნაღის მაზრა) ამ სოფლის მცხოვრებ შაქრო ქათამაძეს ჩხუბის დროს ხანჯლით საიკვდილოდ დაუჭრია სიღნაღის მოქალაქე კაპლონ ოგანოვი.

✦ სოფ. საქობოში (სიღ. მაზრა) ვანო და ნიკო მჭედლიშვილებსა და მიხეილ ფხოველიშვილს ჩხუბის დროს ერთმანეთი მძიმედ დაუჭრიათ.

✦ გუშინ, 4 ივნისს, საგუბერნიო არქიტექტორისა და პოლიციის წარმომადგენელთა თანადასწრებით დათვალიერებულ იქმნა ტფილისის სახაზინო თეატრი.

ტფილისის ქალაქის საბჭო

3 ივნის ტფილისის ქალაქის საბჭოს განსახილველად ჰქონდა წინა სხდომაზე განუხილველად დარჩენილი 9 საქმე. აქედან საბჭომ მოასწრო მხოლოდ 4 საქმის გარჩევა რადგანაც სხდომა გვიან, 9 საათსა და 15 წუთზე დაიწყო. პირველად საბჭომ მოისმინა თხოვნა ქვრივის შამხაროვისა, რომელმაც საბჭოს განუცხადა: ნება მომეცით ჩემის ქმრის ანდერძის რამდენიმე მუხლი განვახორციელოო. საქმე იმაშია, რომ აწ გარდაცვალებულ შამხაროვმა ქალაქს უანდერძა კარგა მოზრდილი ადგილი ასტრახანში ზომით 13,000 ოთხ.-კ. საჟ. იმ პირობით, რომ მისმა მეუღლემ თავის სიცოცხლეში ისარგებლოს ამ მამულით, შემდეგ-კი მამული გადავა ქალაქის საკუთრებაში. შამხაროვისამ ითხოვა ნებართვა ასტრახანში ამ მამულის გაყიდვისა. შემდეგ იგი ამ ფულს შეიტანს საკრედიტო დაწესებულებაში და თავის სიცოცხლეში ისარგებლებს ფულის სარგებლით. საბჭომ დაადგინა ამ თხოვნის საბოლოვოდ განხილვა გადაიდვას ვიდრე გამგეობა შეჰკრებს ცნობებს, რა მდგომარეობაშია ასტარხანში მამულების საქმე, რა შემოსავალი აქვს, რა ფასად იყიდება ადგილობრივ მიწა და სხვანი.

შემდეგ თავმჯდომარემ აცნობა საბჭოს შინაარსი იმ მოხსენებისა, რომლითაც ქალაქში უნდა შემოღებულ იქნეს საავადმყოფო გადასახადი. როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, გადასახადი თითოეულს კაცზე გაწერილი იქნება 1 მან. 50 კაპ. საბჭომ, მცირე კამათის შემდეგ, დაამტკიცა მოხსენება ამ გადასახადის შემოღების შესახებ და დაადგინა დაევალოს გამგეობას წარადგინოს შუამდგომლობა მთავრობასთან აღნიშნულ გადასახადის დაწესების შესახებ.

დასასრულ საბჭომ მთელი დრო მოანდომა გამგეობის მოხსენების განხილვას ქალაქის თვით-მმართველობის დაწესებულებათა მოხელეებისათვის ჯამაგირების მომატების შესახებ ხმოსანმა ა. მ. არგუთინსკი-დოლგორუკოვმა განაცხადა: ქალაქის გამგეობაში აქამდე არსებობს მეტად ანორმალური წესი მოხელეთა დასაჯილდოვებლად. მოხელეებს ხან-დახან ევალებათ ვითომ ზედმეტის საქმეების გაკეთება; გამგეობა ასეთს შემთხვევაში მოხელეს, გარდა ჯამაგირისა, კიდევ სხვა სასყიდელს აძლევს; ამ ნაირად გაღებულ ფულის ჯამი ყოველ წლობით კარგა მოზრდილია. მე ვითხოვ ეს წესი სრულიად მოისპოს, რადგანაც იგი უკანონოა, მით უმეტეს რომ ის საქმე, რომლისათვისაც სასყიდელს იღებს მოხელე, სავალდებულოა მისთვის. რაც შეეხება ყოველ ხუთი წლის შემდეგ რამდენიმე პროცენტით მოხელეთა დაჯილდოვებას, მე თანახმა ვარ, რადგანაც ამ გზით უფრო შევიძლია მივიზიდოთ კარგი და მუყაითი მოხელენიო. ხმ. ხატისოვი, წინააღმდეგ საჭიროდ სცნობს, რომ ყოველ იმ შემთხვევაში, როცა მოხელეს სამსახურის გათავების შემდეგ რაიმე სხვა საქმე ევალება, ჯილდო მიეცეს ამ მეტის შრომისათვის; ხოლო ის წესი, რომელსაც მოხელეთა ჯამაგირების მომატებისათვის ირჩევს პროექტი, მეტად შეაფერხებს გამგეობაში საუკეთესო პირთა მიზიდვის საქმესაო. ამ წესით უფლება ეძლევა ისარგებლოს ზარმაცმა და არაფრის მცოდნე მოხელე კარგ და ნიჭიერ მოხელის თანაბრად. ეს წესი ველარ გამოიწვევს შრომის განკარგებისათვის მაცადინეობას, რადგანაც მოხელეს ეცოდინება, რომ სულ ერთია, 5 წლის შემდეგ ჯამაგირს მაინც მოუმატებენ. ბოლოს საბჭომ ხმის უმეტესობით მიიღო მოხსენება და დაადგინა ჯამაგირების მოსამატებლად დრო უნდა დაიწყოს მომავალ 1905 წლის 1 იანვრიდან. ამასთანავე საბჭომ დაადგინა, პირველ 5 წლის შემდეგ მოემატოს მოხელეთ 10% და ასე ბოლომდის ათ-ათი, სულ 15 წლის განმავლობაში 30%. დანარჩენი მუხლები წესდებისა საბჭომ შეუცვლელად მიიღო.

წერილი რედაქციის მიმართ

„ცნობის ფურცლის“ მე-2492 ნომერში დაბეჭდილი იყო ბათუმიდან წერილი ბ-ნ ვ. ლალიაშვილისა. ამ წერილში ზოგიერთი შეცდომა იყო ართვინის ოლქის უფროსის თავ. იასონ კონსტანტინეს ძის აბაშიძის მოკვლის შესახებ. ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ დაბეჭდოთ შემდეგი: ართვინის ოლქის მცხოვრები ემინ-აღა-იხტიარ-ოღლი ემალებოდა მთავრობას ორის წლის განმავლობაში. 7 მაისს აგენტმა აცნობა ართვინის ოლქის უფროსს თავ. აბაშიძეს, რომ ემინ-აღა-იხტიარ-ოღლი ამ ჟამად თავის სოფელს ვაზრიანსა და თავის სახლში იქნებაო. თავ. აბაშიძე იმ წამსვე წავიდა. აღნიშნულ სოფლისაკენ და თან წაიყვანა საერობო დარაჯები ემინ-აღას დასაჭერად. როცა მივიდა, საღამოს ათი საათი იყო. ამიტომ სახლს დარაჯები შემოარტყა იმ განმზრახვით, რომ ყაჩაღი სახლიდან გარედ არ გასულიყო და არ გაქცეულიყო, თვითონ ჩამოიარა მეზობლები ემინ-აღასი და სთხოვა, ურჩიეთ ემინ-აღას, გამოვიდეს ჩემთან გარეთო. მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა ეს ვერ გაბედა. ამასობაში გათენდა კიდეც. თავ. აბაშიძე მივიდა კარებთან და დაუწყო ემინ-აღას ძახილი, მაგრამ შიგნიდან პასუხი არავინ გასცა. მაშინ უბძანა დარაჯებს: კარები გატეხეთო და მანდილოსნები და ბავშები გარედ გამოიყვანეთო. ბრძანება იმავე წამში აასრულეს. სახლში აღმოჩნდნენ ცოლი და მცირე წლოვანი ქალი ემინ-აღასი. პირველი შევიდა თავ. აბაშიძე, რომელმაც ემინ-აღა ვერ დაინახა და რომელსაც ერთი ადგილი იატაკისა საეჭვოდ ეჩვენა. მოითხოვა ცული და ახადა ერთი ფიცარი. ამ დროს ქვეიდან უეცრად გავარდა ორჯელ თოფი. მაგრამ ტყვია თავადს არ მოჰხვედრია. იატაკ ქვეშ გამოჩნდა ემინ-აღა თავის ბიძაშვილით ხუშუტ-აღა იხტიარ-ოღლით. თავ. აბაშიძე მაშინვე გავიდა გარედ და უბრძანა დარაჯებს: ემინ-აღა არამც და არამც არ მოჰკლათ და დაიჭირეთ როგორმე ცოცხლადო. მაგრამ დარაჯები ისე გაბრაზდნენ ემინ-აღაზედ, რომ მიაყარეს თოფის ტყვია იმ ალაგას, საიდანაც თოფის ხმა მოისმა. მაშინვე სახლიდან გარედ გავიდა ხსენებული ხუშუტ-აღა იხტიარ ოღლი და სთხოვა თავ. აბაშიძეს, ემინ-აღა მძიმედ არის რამდენიმე ტყვიით დაჭრილი, კვდება და მოლას თხოულობსო. თავ აბაშიძემ უპასუხა: მოლას ახლავე გაუგზავნი, მაგრამ შენ გავალებ, იმისი თოფი აუცილებელად აქ მომიტანოო. ხუშუტ-აღა დაჰპირდა თოფის მოტანა, შევიდა სახლში, ხოლო თავადმა დიდი სამდურავი გამოუცხადა დარაჯებს—რად მოჰკალით ემინ-აღა, მე მინდოდა ცოცხალი დამეჭირაო. ამასთან ბრძანა მოლა მოეყვანათ. ამ დროს მოულოდნელად სახლიდან თოფი გავარდა, ტყვია მოხვდა თავ. აბაშიძეს მარცხენა ძუძუს ქვემოდ და გავარდა მარჯვენა ნეკნებში. გადადგა თუ არა თავ. აბაშიძემ ორი-სამი ნაბიჯი, ფეხები მოეკვეთა. მას მიეშველა ერთი დარაჯი სარდიონ ასათიანი, რომლის ხელშიაც სული დალია. მოკვდა ერთის საათის შემდეგ. ემინ-აღაც. არც ერთს დარაჯს არ დაუნახავს, ვინ ესროლა თოფი თავ. აბაშიძეს, მხოლოდ ეჭვია მიტანილი ხუშუტ-აღაზედ. საჩქაროდ შეიკრიბა ართვინის ადმინისტრაცია თავისის ექიმითა და გამომძიებლით და აასრულა მოვალეობა. გვამი განსვენებულისა მოასვენეს ჯერ თავის ბინაზედ ართვინს, მერე ბათუმს. იქიდან იმავე დღეს წაასვენეს ქუთაისში, სადაც სამხედრო პატივითა, ნათესავებისა და ნაცნობების თანადასწრებით 13 მაისს დაკრძალეს.

გიტო

22 მაისი, დ. ყვირილა

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

4 ივნისი

ტოკიო. („რეიტ. სააგ.“). იაპონელთა დალუპულ ტრანსპორტებიდან გადარჩენილნი დაწვრილებით ამბებს იუწყებიან იმის შესახებ, რომ „ხიტაშიმარუს“ და „სადომარუს“ შეხვდა რუსების 3 სამხედრო გემი 2 ივნისს, იკის კუნძულის ახლოს. რუსებმა ზარბაზნების სროლით გააჩერეს ისინი და შემდეგ მალე დალუპეს უაიტხედის ნაღმებით, „სადომარუს“ კაპიტანი და რამდენიმე სხვაც ტყვედ წაიყვანეს. ასმა კაცმა ნავებით კოკურამდის „მიაღწიეს. ხიტაშოიარუდან“ გადარჩენილებმა სამხრეთისკენ გასწიეს ნავებით და მივიდნენ სიმონოსეკს, სადაც თავი შეაფარეს. არა იციან-რა ტრანსპორტის „იცუმიმარუს“ შესახებ. როგორც ირწმუნებიან, „ხიტაშიმარუსა“ და სადომარუზე ყოფილა 1,400 კაცი, მრავალი ცხენი და სურსათი. თუ ეს ცნობები მართალია, არა ნაკლებ 1000 კაცისა იქნება დალუპული.

ტოკიო. („ვოლფის სააგ.“) ლიაოდუნის ნახევარ კუნძულზე მყოფ იაპონიის არმიის სარდალი ოფიციალურად იუწყება: 1 ივნისს იაპონიის უმთავრესი ჯარები გაემართნენ ორ წყებად ჩრდილოეთისაკენ, რკინის გზის გაყოლებით და უკუ აქციეს რუსის ჯარი ვაფანდიანის აღმოსავლეთით მდებარე ადგილებიდან. ნაშუადღევის ხუთ საათზე მტერი შესდგა, შეჰკრა მოსაგერებელი წრე ლუნვანშია—ტაფანჩენთან. დაღამებისას იაპონელებმა ზარბაზნების სროლის შემდეგ პონშიტოუ-იუპოტოუს წრე დაიჭირეს. მეორე რაზმი, რომელსაც რუსების მარჯვენა ფრთა უნდა შეეწუხებინა და ამასთანავე დაეცვა იაპონელთა ჯარის ზურგი, წინ მიდიოდა ფუჯოსეს აღმოსავლეთით და გავიდა ტენშიაკოუ—ნაშიალინის წრეზე. რუსებს ლიუენვანის მახლობლად მაშველი ჯარი შეუერთდა. 2 ივნისს რუსებმა $2^1/_2$ დივიზიამდე, რომელიც ტელისუს მახლობლად იდგნენ, დაიჭირეს დაფანგოუსა და ჩენსუ.

რებს სხვას დროს დაზოგვას და ვინ ცდილობს საზოგადოების ინტერესის გათვალისწინებას. ჩვენებურ კანცელარიების „ზავთრა“, „ზავთრა“ ხომ—ყველამ ვიცით—საარაკოდ არის გადაქცეული. უბრალო მოწმობის მისაღებად შორიდან მოსული სოფლელი მთელი კვირაობით იცდის კანცელარიის კარების წინ და ვინ იცის, დაბოლოს ეღირსება თუ არა ნათხოვნის მიღებას.

ეს „ადათი“, სხვისი და თვისი დროს დაუფასებლობა ისე მტკიცედ შეთვისებული ჩვენში, რომ მას გავლენას უცხოელიც, რომელიც თავის სამშობლოში სულ სხვა წესსა და წყობილებას არის შეჩვეული, ვეღარ აღწევს თავს და მალე ემორჩილება. ქალაქის ქუჩების რკინის გზა, როგორც იცით, უცხოელ კაპიტალისტებისგანაა გამართული. თითქოს ამათ მაინც უნდა იცოდნენ დროს დაზოგვა და ყაირათი. იციან კიდეც, მხოლოდ—თავის სამშობლოში, ჩვენში ისინი საჭიროდ არ სთვლიან ამის შესრულებას, რადგან იციან, რომ აქ დროს ფასი არა აქვს. თითქოს განგებ მოაშენესო, ისეთი დამხრჩვალი ცხენები უბიათ ვაგონებში, რომ დანიშნულ ადგილას უფრო მალე მიხვალთ ფეხით, ვიდრე ტფილისის „კონკით“. თუ სადმე რკინის გზით წასვლას აპირებთ, სადგურზე მისასვლელად „კონკას“ ვერას დროს ვერ ენდობით: არა იშვიათად იმ დროს მაგიტანთ სადგურზე, როცა მატარებელი ნავთლუხში ან ავჭალაში არის უკვე მისული. ვეღარ წახვალთ იქ, სადაც აპირებდით; მოსცდებით საქმეს, ნახავთ ამით რაიმე ზარალს, აქაც ნახევარ დღეს დაჰკარგავთ ტყვილა-უბრალოდ, და ყველა ეს მოხდება იმიტომ, რომ „ბელგიის საზოგადოებას“ არ უნდა ქერი დახარჯოს და უნდა ვაგონები ძვალ-ტყავა ცხენებს ათრევინოს. ასეთ რამეს ეს ბატონები ვერ გაჰბედავენ თავის სამშობლო ბელგიაში, მაგრამ სულ სხვაა აქ,—ჩვენში. ჩვენში აბა რად საჭიროათ საზოგადოებასთან მორიდება და

ცერემონია. მართალია, აქ ისინი დიდ მოგებას იღებენ ჩვენი შაურებით, მაგრამ ეს მაინც საბუთი არაა ცერემონიის გასამართავად. ცერემონიითა და მორიდებით მოეპყრობიან მხოლოდ იმას, ვისაც შეუძლია ხმის ამოღება და თავის უფლების დაცვა. ევროპიელები ჩინეთშიაც დიდ მოგებას იძენენ და მდიდრდებიან, მაგრამ, მაუხედავად ამისა, ცერემონიის მაგივრად, ჩინელებს მუდამ თავში უბარტყუნებენ.

ერთის სიტყვით, თვითონ საზოგადოებაში უნდა იყოს დროს მნიშვნელობის შეგნება გამტკიცებული და მაშინ სხვა-და-სხვა გვარი დაწესებულებანიც ვეღარ გამოიჩენენ მის შესახებ ისეთ დაუდევრობას, როგორიც ეხლა ემჩნევათ. განა რომელიმე კულტურულ ქვეყანაში წარმოსადგენია ისეთი ამბები, როგორიც ტფილისის რკინის გზის სადგურზე ხდება? მთელი მილეთის ხალხი ევროპის დიდ ქალაქებში—პარიჟში, ლონდონში, ბერლინში—ირევა; იქ მუდამ დაუცხრომელი მისვლა-მოსვლა და მოძრაობაა. მიუხედავად ამისა, ისეთი უწეს-რიგობა წარმოუდგენელია იქ, როგორიც ხდება აქ. უნდა ნახოთ, რა ჭიდილი და ჭაპან-წყვეტაა სადგურის კასის წინ. აუარებელი ხალხი დგას მთელი საათობით, ერთი მეორეს აწვება, სჯეკნის და ცდილობს როგორმე ბილეთი აიღოს და ვაგონში შევიდეს. კასის ოთახში დგას ერთად ერთი დედაკაცი, რომელმაც უნდა აძლიოს ამდენ ხალხს ბილეთები. რასაკვირველია, ერთ ადამიანს არ შეუძლია ათასი კაცის მალე გასტუმრება. სადგურზე ვერ წაიყვანთ გასაცილებლად ვერც დედას, ვერც მამას, ვერც ცოლს, ვერც სხვა ნათესავს: აბა რა აზრი უნდა ჰქონდეს მათს წამოსვლას, როცა თქვენ ხალხის გროვაში იქნებით მეჭედილი და, სახამ ბილეთს აიღებდეთ, რამდენჯერმე ოფლში გაიწურებით. აქ არ არის ლაპარაკისა და გამოთხოვების დრო. —აქაა ბრძოლა და ჭიდილი, გამართული იმისთვის, რომ თქვენი წვითა და დაგვით ნაშოვნი ფული, ნამდვილი უზადო ფული მისცეთ კასაში და სამაგიეროდ გზის ბილეთი მიიღოთ. რკინის გზის გამგეობა 15 მილიონ მოგებას იღებს კავკასიის რკინის გზიდან წლიურად, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იმ ხალხსა და საზოგადოებას, რომელიც ამ მოგებას აძლევს, აღამიანებად არ სთვლის და საჭიროდ არ მიაჩნია, კასაში ერთი ან ორი მოხელე კიდევ დასვას, მგზავრს დრო ტყვილა-უბრალოდ არ დაეკარგვინოს და ბილეთის ფული გაუწვალებლად გამოართვას. რატომ? იმიტომ, რომ თვით ეს ხალხი არაფრად აგდებს და აფასებს დროს და თავის სარგებლობას და ამის მსგავსად სხვაც ყურადღებას არ აქცევს მის ინტერესებს და პირად ღირსებას.

ეს რა ჩვენი სასაყვედუროა,—ეს დაწესებულებანი ხომ ჩვენი—ქართული არააო, იტყვის ვინმე. მართალია, „ჩვენი“ არაა, მაგრამ საქმე ამა თუ იმ დაწესებულებაში კი არ გახლავთ,—საერთოდ მთელი ჩვენი ცხოვრება ასეთი ატმოსფეროთაა მოცული. დაწესებულებათა შესახები მაგალითები მხოლოდ დამტკიცებაა ამ მთავარ აზრისა. და ეს მტკიცდება არა მარტო სახაზინო დაწესებულებაში, არამედ ყველგან,—ჩვენს საზოგადოებრივ და კერძო ოჯახურ ცხოვრებაშიაც. აბა ჰკითხეთ იმ პირებს, რომლებიც რაიმე არჩეულ გამგეობაში არიან: რა დროს შეიკრიბება ხოლმე 7 საათისთვის დანიშნულ სხდომაზე წევრთა უმრავლესობა და რომელ საათზე დაიწყება ხამდვილად სხდომა? არასოდეს არ მოხერხდება, რომ დანიშნულ დროზე მოხდეს წევრთა თავის მოყრა და სხდომას დაწყება. ის, რომელიც დანიშნულ საათზე მივა, იძულებულია ერთი-ორი საათი ფუჭად დაჰკარგოს და უქმ ლოდინში გაატაროს, სანამ სხვები შეიკრიბებიან. ჩვენ არაფრად ვაფასებთ საზოგადოდ დროს და აინუში არ მოგვდის, თუ ამა თუ იმ კერძო შემთხვევაში ჩვენის მიზეზით სხვა, იქნება, საქმეს მოვაცდინეთ და დრო უნაყოფოდ დავაკარგვინეთ.

და რაღა ეს,—ამაზე უკეთესი მაგალითი რომელი-ღა იქნება კიდევ, როგორსაც წარმოადგენს ჩვენებური „სტუმრობა“ და ჩვეულებად მიღებული „სტუმრის შექცევა“. ხშირად დავდივართ ერთი-მეორესთან სრულიად უსაქმოდ, მხოლოდ იმ აზრით, რომ ვიმასლაათოთ, დიდ-ხანს ჩვენებურად-ქართველურად ვილაპარაკოთ და დრო გავატაროთ. არ ვკითხულობთ, სცალიან თუ არა ჩვენს მასპინძელს. აქვს დრო თუ არა სამასლაათოდ და სტუმრის შესაქცევად. ამ დღეებში ერთი ჩემი ნაცნობი, პატივცემული და მოსაქმე პირი, გაბრაზებული სჩიოდა,—გუშინ ჩემს სახლში ერთი ნაცნობი შემომიჯდა, რომელიც ღამის პირველ საათამდის ვერ მოვიშორე,—საქმესაც მომაცდინა და ძილიც არ დამანებაო. და ასეთი შემთხვევა ყოველ დღიურია ჩვენს ცხოვრებაში. ყველა ეს იმას ამტკიცებს, რომ ქართველმა არ იცის ფასი არა მარტო ფულისა, არამედ დროისაც და რომ იგი ხშირად უსარგებლოდ ფლანგავს როგორც ერთს, ისე მეორესაც.

წარმოიდგინეთ, ეს თვისება ერთი დამახასიათებელ ნიშანთაგანია ველურ და საზოგადოდ კულტურით უკან ჩამორჩენილ ხალხებისა. ყველა მოგზაურები ერთხმად აღიარებენ, რომ ველურებმა სრულებით არ იციან დროს დაფასება და განაწილებაო, იმათ არ ეხერხებათ თითოეულ სამუშაოსთვის წინდაწინ განსაზღვრულ დროს დანიშვნაო. ლივინგსტონი ჰუმორისტულად ამბობს თავის წიგნში, რომელშიაც აწერილია აფრიკის ველურთა ცხოვრება, რომ „აფრიკა უბედნიერესი მხარეა მთელს დედა-მიწაზე,—იქ დროს ფასი არა აქვსო.“

თუ ბედნიერება ამით გაიზომება, უეჭველია, ჩვენი ქვეყანაც არ არის ამ მადლს მოკლებული და ჩვენც ბედნიერებაში ვართ ჩასათვლელი...

ფ. გოგიჩაიშვილი.

(დასასრული იქნება)

ჩანის შუა პოზიცია. გათენებისათანავე იაპონელებმა მტერს შეუტიეს. უმთავრესი ჯარი რკინის გზის გაყოლებით მიდიოდა წინ, მეორე რაზმი-კი სუშიატუს მხრით. დილის 9 საათზე მიუახლოვდა რაზმი, რომელიც შეადგენდა მარცხენა ფრთეს. შუადღისას შანშუატუნის მხრით ცხენოსანი ჯარი მტერს ეკვეთა; ამნაირად რუსები ყოველის მხრით ალყა-შემორტყმულნი დარჩნენ ტელისუს მახლობლად ნაშუადღევის 3 საათზე და ცხარე ბრძოლის შემდეგ ძლივულ იქმნენ და სამხრეთისაკენ დაიხიეს. მოსულ ცნობებით იაპონელებმა დაჰკარგეს 1000 კაცზე ნაკლები. რუსებს წართვეს 14 მსწრაფლ მსროლელი ზარბაზანი და ტყვედ ჩაიგდეს ხელში 300 კაცი, მათ შორის მე-4 მსროლელ პოლკის უფროსიც. ბრძოლის შემდეგ რუსებმა დასტოვეს 500 კაცზე მეტი დაჭრილი და მოკლული.

ტოკიო. („რეიტ. სააგ."). ვლადივოსტოკის ესკადრის შესახებ, რომელსაც ვითომ იაპონიის ფლოტი დასდევნებოდეს, არავითარი სარწმუნო ცნობა არაა.

ნაგასაკი. („რეიტ. სააგ."). ოფიციალურად უარყოფილია, რომ ხაკატას ყუმბარები დაუშინეს. რუსის სამხედრო გემები ოკიშიმოს გასწვრივ გამოჩნდნენ 2 ივნისს და წაიღეს ბლომად სასმელი წყალი. დაინახეს თუ არა 3 სავაჭრო გემი, ზარბაზნები დაუშინეს, მაგრამ გემებმა თავს უშველეს გაქცევით. ტრანსპორტი „უგომარუ" გუშინ მივიდა შიშიმას. იმისთვის ზარბაზნები დაუშინათ, მაგრამ ზიანი-კი ვერ მიაყენეს. „ხინომარუს" კაპიტანი, რომელიც მოიოს მივიდა, იუწყება, ტრანსპორტს „ხიტაშიმარუზე" იერიში მოიტანა რუსის დიდმა სამხედრო გემმა მარჯვენა მხრით; კაპიტანი მარცხნით მიეძალა, რომ მოებრუნებინა გემი და რუსების გემისათვის ეტყორცნა ტარანი (კედლის სანგრევი იარაღი); მაგრამ რუსის კრეისერმა გზა განაგრძო და „ხიტაშიმარუზე" მარცხენა მხრით მიიტანა იერიში.

3 ივნისი

მინსკი. ერთ და იმავე დროს ქალაქის შუა გულში სამ ადგილას გაჩნდა დიდი ცეცხლი. ზარალი მეტად დიდია. იწვის დაბა სმოლევიჩი (ბორისოვის მაზრა).

ნიუ-იორკი. („რეიტ. სააგ.") დამწვარ გემ „სლოკუმზე" ათასამდე მგზავრი იყო, უმრავლესობა—ქალები და ბავშვები; ცეცხლი რომ გაჩნდა, 100-მდე კაცი წყალში გადავარდა. ზღვამ ბევრი გვამი გამორიყა. მრავალი ხალხი ცეცხლმა იმსხვერპლა. იპოვეს ცეცხლისაგან დაღუპულთა 306 გვამი. ფიქრობენ, რომ დაღუპულთა საერთო რიცხვი 1000 უნდა იყოს.

ბელგრადი. მეფის არჩევის წლის თავი დაწესებულ გეგმის დაგვარად იდღესასწაულეს. გაზეთებმა აღნიშნეს, განვლილი წელიწადი მეტად ბედნიერი იყო და მადლობა უძღვნეს მეფეს.

გმუნდენი. დანიის მეფე ვენას გაემგზავრა და საღამოზე მივიდა იქა.

გიანგცზე. ინგლისის ცხენოსან ქვეითა ჯარის რაზმმა დაიჭირა ლამა, რომელიც ლხასადან მოდიოდა. იგი არწმუნებს, ინგლისელები თუ ლხასას მიუახლოვდებიან, ტიბეტელები უკანასკნელ ზომამდე გაუწევენ წინააღმდეგობასა და დასძინა, დალაი-ლამა უკვე მომზადებულია ჩინეთში გასაქცევადო.

ბიისკი. ცნობაა მოსული, რომ ალტაიში მცხოვრებ მონგოლთა შორის მოძრაობა დაიწყო, რომელიც იმით არის გამოწვეული, რომ მონგოლები მალე ელიან თავისი ღმერთის აიროტის გამოცხადებას: ამ ღმერთმა უნდა გაანთავისუფლოს ისინი უცხოელთა მონობისაგან და დაამკვიდროს დამოუკიდებელი სახელმწიფო. ვიღაც სამ უცნობ კაცის მოწვევით, რომელნიც ამბობენ, აიროტის მოციქულები ვართო, მონგოლები ათასობით იკრიბებიან. ნდობის მოსაპოვებლად უგიც მონგოლებზე სასწაულთა საშუალებით მოქმედებენ; ელექტრონის ძალითა და შუშხუნებით სარგებლობენ და თინების გასამართავად საჭირო მანქანები აქვთ.

პეტერბურგი. „პრავიტელსტვ. ვესტ."-ში დაბეჭდილია ჰელსინგფორსიდან მიღებული ამბავი: „დღეს დილის 11 საათ. და 5 წუთ. ორჯერ ესროლეს და დასჭრეს ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორი გენერალ-ადიუტანტი ბობრიკოვი სენატში შესავალ კარებთან ბაქანზე. ერთი ტყვია მუცელში მოხვდა და მძიმედ დასჭრა, მეორე-კი—კისერში: ჭრილობა მსუბუქია. ბოროტმოქმედმა, სენატორ შაუმანის შვილმა, იქვე მოიკლა თავი.

ორიოლი. მათი იმპერატორებითი უმაღლესობანი დიდი მთავარი სერგი ალექსანდრეს ძე და დიდი მთავრინა ელისაბედ თეოდორეს ასული საუზმეზე ეწვივნენ გუბერნატორს. საუზმის შემდეგ დიდი მთავარი წაბძანდა ელეცში, სადაც ნეჟინის დრაგუნის პოლკს უნდა გამოეთხოვოს. დიდმა მთავრინამ მიიღო გუბერნატორის ზალაში თავისი პოლკის ოფიცრები და ოფიცერთა მეუღლენი. 4 საათზე დიდი მთავრინა წაბძანდა რკინის გზის სადგურზე ცხენოსან ოფიცრებისაგან შემდგარ ამალით. 5 საათზე დიდი მთავრინა საგანგებო მატარებლით მოსკოვში წაბძანდა.

პიატიგორსკი. 2 ივნისს დაიწყო სამკურნალო სეზონი კისლოვოდსკში. დარი კარგია.

ბიისკი. მთიან ალტაიდან დაბრუნებულნი ამბობენ, რომ ის ღმერთი, რომელსაც ალტაის მთებში მცხოვრები მონგოლები და კალმიკები მოელოდნენ, ისტკანის მახლობლად ჩამოვიდა და იურტაში (ქოხში) დასახლდაო. ხალხს არ ეჩვენება. ხალხთან ურთიერთობა ამ ღმერთს აქვს ერთ შავ-მოხუცისა და პატარა ქალის მეოხებით, რომელნიც ემსახურებიან. მოხუცი თეთრ ტანისამოსშია გამოწყობილი. ძნელი გასაგებია, რას უქადაგებს ეს ღმერთი უმეცარ მონგოლებსა და კალმიკებს. ეს უკანასკნელნი წინად ყველაფერს ატყობინებდნენ რუსებს, მაგრამ ეხლა ჰმალავენ. ცნობილია მხოლოდ ის, რომ, ამ ღმერთის მოძღვრების თანახმად, მონგოლებმა და კალმიკებმა არ უნდა აიღონ და შეინახონ არავითარი ფული, გარდა ოქროსა და ვერცხლისა. მონგოლები და კალმიკები თავიდან იშორებენ ქაღალდის ფულს და იღებენ ყოველ-გვარ საქონელს. ამის მეოხებით რუსებს კარგი ვაჭრობა ჰქონდათ მთებში.

ჰელსინგფორსი. 3 ივნისს სენატში, დილის 11 საათსა და 5 წამზე, სამეურნეო დეპარტამენტის ზალის შესავალთან, ფინლიანდიის სამოსწავლო მთავარ-გამგეობის მოხელემ, სენატის მოხელედ ნამყოფმა ევგენი შოუმანმა, ყოფილ სენატორის შვილმა, სამჯერ ესროლა გენერალ-გუბერნატორს; ერთი ტყვია კისერში მოხვდა და მსუბუქად დასჭრა, მეორე ორდენში მოხვდა და გაკაწრა გენერალ-გუბერნატორი, მესამე კი მუცელში მოხვდა. პირველი დახმარება დაჭრილს რუსის ექიმმა აღმოუჩინა; შემდეგ იგი სახლში გადაიტანეს. ექიმებმა საჭიროდ სცნეს ჩქარა ოპერაციის გაკეთება. დაჭრილმა ზიარება მიიღო; შემდეგ სახირურგიო საავადმყოფოში გადაიტანეს, სადაც კარგად გაუკეთეს ოპერაცია. მუცელი გაუპეს და ტყვია გამოიღეს; ამოსჭრეს დაშავებულ წვრილ ნაწლევების ერთი ნაწილი. ბოროტ-მოქმედთა იქვე მოიკლა თავი.

პარიზი. პალატამ მიიღო კანონ-პროექტი, რომელიც შეეხება საფრანგეთის და რუსეთის შეთანხმებას ფოსტით ფულის გაგზავნის თაობაზე.

4 ივნისი

პეტერბურგი. იუსტიციის მინისტრმა, რომელიც დროებით წავიდა პეტერბურგიდან, სამინისტროს გამგებლობა მინისტრის ამხანაგს მანუხინს მიანდო.

კურსკი. საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარის გუბერნატორ გარდეევის მეუღლის სახელობაზე შემდეგი უმაღლესი დეპეშა მოვიდა:

„გავიგე კურსკის საქველმოქმედო საზოგადოების კეთილი სურვილი, დაარსოს ჩემ სახელობაზე 10 საწოლი წითელი ჯვრის ერთ-ერთ საავადმყოფოში; ამისათვის გულითადის მადლობით ვიღებ ამ საჩუქარს და წრფელ მადლობას ვწირავ საზოგადოებასა და თქვენ მხურვალე და სასარგებლო მოქმედებისა და უხვ შემოწირულებისათვის. მარიამი."

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

განცხადებანი

მე ვმუშაობდი ყირიმის საუფლისწულო მამულში და კარგად შევისწავლე **ამერიკულ ვაზზე დამყნობის ხელობა.** ვეძებ ადგილს მემამულეებთან.

დავით იოსების ძე ჯოხარიძე, თელავის მაზრის სოფ. ახაშნის მცხოვრები. მიჰმართეთ თელავის სამაზრო სასამართველოში ესტატე საყვარელიძეს. (2—227—1)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, შინაბინარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გაღამდევ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით, და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

ქ. სიღნაღში,

გაზეთ **„ცნობის ფურცლის"** ნომრები ყოველ დღე იყიდება **სერგო მიხეილის ძე ამირალოვის მაღაზიაში.**

1905 წ. კედლის 1905 წ.

ქართული კალენდარი

გისაც სურს ჩვენი კალენდარი დაიკვეთოს მომავალ **1905 წლისათვის,**

ვთხოვთ წინათვე შეგვატყობინონ ვინ რამდენს ისურვებს, რომ იმის კვალობაზე შევუდგეთ ბეჭდვას.

ვინც ამთავით დაიკვეთს და ბეის გამოგვიგზავნის, მათ ერთი შაურით ნაკლებ დაეთმობათ ეგზემპლიარი დაბეჭდვის შემდეგ მყიდველებთან შედარებით.

ვთხოვთ წერილები ამ წარწერით გამოგვიგზავნონ: Тифлисъ. Типографія Григорія Васильевича Чарквіани. (5—1(

ქუთაისში

ი. „გოკიელოვის შვილები"-ს

სავაჭრო სახლში იყიდება საუკეთესო ღირსების.
შაბიამანი ნამდვილ ინგლისური
გოგირდის ყვავილი „სუბლემა"
მანქანა ვენახის სარწყავი „ვერმორელი"
მანქანები გოგირდის საბერავი.
რაფია ვენახის საკონავი.
აგრეთვე ვერმორელის მანქანის ყველა ნაწილები ცალ-ცალკე. (1(—142—11)

სასტუმრო **იალტა** ნომრები

მართლმადიდებელ სემინარიის პირდაპირ, ოქრომჭედლების ქ. კუთხეში. სადილი **ორი** თავით, ჭიქა არაყით, ღვინით და ფინჯანი ყავით 50 კ. უარაყოდ, ღვინოთ და უყავოთ 30 კ. სადილი **სამი** თავით, ჭიქა არაყით, ½-ბოთ. ღვინით და ფინჯანი ყავით 75 კ. ღვინო ბოთლი 30 კ. და ძვირფასიც. თვიურათ იაფათ და ეძლევათ აბონიმენტები. სადილი 11—5 საათ. დილის და 5—12 ს. საღ. (88—52—30)

СѢДЕЛЬН.
СПЕЦІЯЛЬН.
Безъ конкуренціи
Продаются всевозможн. сѣдла.
მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო სობორის ახლოს. (წ.—176—34)

ჩემის ვაჭრობის მოსპობის გამო

ამ წლის 22 აპრილიდან ვნიშნავ უკანასკნელ გაყიდვას, საფაბრიკო ფასებზე დაბლა, ჩემი სამხედრო მაღაზიაში, ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ, ხაზინის გვერდით.

გადაჭრილი ფასებია დანიშნული.

ნარდათ მყიდველებს ვთხოვ პირდაპირ მე მომმართონ.

(60—189—30) პატივისცემით ბ. გ. ბერიევი

ფეხსაცმელი

ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,

მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, კაცისა, ქალისა და ბავშვისა,

აგრეთვე მაწრავლ-მაღალები და სანდალები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების საუკეთესო მაღაზიებში.

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს

ტყავის საქონელი

რუსეთისა და საზღვარ-გარეთ დამზადებული, მრავლად არის

სავაჭრო სახლის

ლ. მ ო ტ ა ლ ე ნ ი ე ლ ლ ო რ-ის საწყობში.

ტელეფონი № 346 ერევნის მოედანი. (60—6.—44)